თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი № 15

10 აგვისტო 2021 წ. ქ. თელავი

სხდომას ესწრებოდნენ: 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრად არჩეული 26 დეპუტატი და 2020 წლის საკრებულოს შუალედური არჩევნების შედეგად არჩეული 1 დეპუტატი:

თავმჯდომარეობდა: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - **არჩილი თხლაშიძე**

ესწრებოდნენ:

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ნანა ხვისტანი;**

საკრებულოს სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე **ლევან კოჭლოშვილი;**

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე **დავით ღაღანიძე;**

საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **უჩა ჭოტიაშვილი;**

საკრებულოს ფრაქციის ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე **ალექსანდრე შათირიშვილი;**

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორები“ თავმჯდომარე **მაია მარკოზაშვილი;**

საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება მრეწველები“ თავმჯდომარე **ტიტე დარეჯანიშვილი;**

საკრებულოს ფრაქციის „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ თავმჯდომარე **არჩილი თვალიაშვილი;**

საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარე **ალექსი ძულიაშვილი;**

საკრებულოს ფრაქციის „ ჩვენი თელავი“ თავმჯდომარე	გიორგი ჩაბრაშვილი;
საკრებულოს ფრაქციის ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილე	ზურაბ მუსაევი;
საკრებულოს ფრაქციის ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილე	ბესიკი ქოჩიშვილი;
საკრებულოს ფრაქციის „ ჩვენი თელავი“ თავმჯდომარის მოადგილე	გიგა მამუკელაშვილი;
საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება მრეწველები“ თავმჯდომარის მოადგილე საკრებულოს ფრაქცია	ვასილ არაბული;
საკრებულოს ფრაქციის „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ თავმჯდომარის მოადგილე	მიხეილ გრემელაშვილი;

საკრებულოს წევრები: ირაკლი სულხანიშვილი, დავით ჯორჯაძე, ლელა მენთეშაშვილი, იოსებ პარწიკანაშვილი, ლევან მრელაშვილი, გიორგი მეტრეველი, გოჩა წაწალაშვილი, ზურაბი ლილუაშვილი, ნიკოლოზ მაისურაძე, ბესიკ გაიპარაშვილი აბრამ მახარიაშვილი (რეგისტრაციის ფურცელი თან ერთვის).

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის მ/შ **სოფიო ოხანაშვილი;**

მოქალაქე: **მაკა მოსიაშვილი;**

პროფესიული კოლეჯის „პრესტიჟი“ პრაქტიკანტები: მ.მათუზაშვილი, ა.სოზაშვილი, ა.წითელაური

თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო რიგგარეშე სხდომის მოწვევის მიზეზი

ნ.ხვისტანმა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შესატანად წარმოადგინა საკითხი: ფრაქციის „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის ცვლილების შესახებ.

ნ.ხვისტანის მიერ წარმოდგენილი საკითხის დამატებით დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის ცვლილების შესახებ.

მომხს. ნ. ხვისტანი

12.00სთ-დან - 12.15 სთ-მდე

2. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან გადადგომის ცნობად მიღების შესახებ.

მომხს. ნ. ხვისტანი
12.15სთ-დან - 12.25 სთ-მდე

3. 2021 წლის 02 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებთან დაკავშირებით სააგიტაციო მასალების გასაკრავად (გამოსაფენად) ადგილების განსაზღვრის შესახებ.

მომხს. ნ. ხვისტანი
12.25სთ-დან - 12.40 სთ-მდე

4. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ.

მომხს. ნ. ხვისტანი
12.40სთ-დან - 13.00 სთ-მდე

დღის წესრიგის დამტკიცებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა.

<u>მოისმინეს:</u> 1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის ცვლილების შესახებ.

მომხს. ნ. ხვისტანი
12.00სთ-დან - 12.15 სთ-მდე

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ **ნ.ხვისტანმა** საკრებულოს გააცნო საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ მომართვა, სადაც აღნიშნულია, რომ ფრაქციის თავმჯდომარემ ა.შათირიშვილმა დატოვა თანამდებობა და ფრაქციის თავმჯდომარედ არჩეულია საკრებულოს წევრი, ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე ბესიკი ქოჩიშვილი.

<u>გადაწყვიტეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის ა.შათირიშვილის გადადგომა და ფრაქციის თავმჯდომარედ ბესიკი ქოჩიშვილის არჩევა მიღებულ იქნეს ცნობად.

<u>მოისმინეს:</u> 2. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან გადადგომის ცნობად მიღების შესახებ.

მომხს. ნ. ხვისტანი
12.00სთ-დან - 12.15 სთ-მდე

ნ.ხვისტანმა აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის 05 აგვისტოს გ.ორკოდაშვილმა მიმართა საკრებულოს ბიუროს თანამდებობიდან გადადგომის შესახებ.

<u>გადაწყვიტეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის გიგა ორკოდაშვილის თანამდებობიდან გადადგომა 2021 წლის 05 აგვისტოდან მიღებული იქნეს ცნობად.

<u>მოისმინეს:</u> 3. 2021 წლის 02 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებთან დაკავშირებით სააგიტაციო მასალების გასაკრავად (გამოსაფენად) ადგილების განსაზღვრის შესახებ.

მომხს. ნ. ხვისტანი
12.15სთ-დან - 12.25 სთ-მდე

<u>აზრი გამოთქვეს:</u> **დ.ღაღანიძემ, ა.ძულიაშვილმა** აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტის მესამე მუხლში შესატანია კორექტირება და ამოღებულ უნდა იქნეს სიტყვები „ერთი ცალი“.
ა.ძულიაშვილის მოსაზრებას მხარი დაუჭირა საკრებულოს სხვა წევრებმაც.

<u>გადაწყვიტეს:</u> **აღნიშნული ცვლილების გათვალისწინებით პროექტის დამკიცებას** (მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა).

<u>მოისმინეს:</u> 4. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ.

მომხს. ნ. ხვისტანი
12.25სთ-დან - 12.40 სთ-მდე

საკრებულოს თავმჯდომარემ, თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე დაასახელა საკრებულოს წევრის ალექსანდრე შათირიშვილის კანდიდატურა.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიამ საკრებულოს აპარატთან ერთად უზრუნველყო ფარული კენჭისყრისათვის საჭირო ღონისძიებები.

კომისიამ განიხილა კენჭისყრის შედეგები და წარუდგინა საკრებულოს.

<u>გადაწყვიტეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე არჩეულია საკრებულოს წევრი **ალექსანდრე შათირიშვილი.**

(სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 27 (ოცდაშვიდი) წევრი, **კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო:** 23 (ოცდასამი) წევრმა, **კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო** 04(ოთხი) წევრმა). **ალექსანდრე შათირიშვილმა მიიღო 23 (ოცდასამი) ხმა.**

საკრებულოს თავმჯდომარე _____ **არჩილი თხლაშიძე**